სექტორის ზოგადი მიმოხილვა

ქართული ცხვრის ბაზარი

2015 წელს ქართული ცხვრის ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა არაბეთის ქვეყნებიდან გაზრდილი მოთხოვნის შედეგად. თუ 2015 წლამდე ქართული ცხვარი ექსპორტზე ძირითადად აზერბაიჯანში გადიოდა, 2015 წელს საექსპორტო ბაზრებს შეემატა არაბთა გაერთიანებული საამიროები, იორდანია, ლიბანი და საუდის არაბეთი. უახლესი მონაცემების თანახმად, ქართული ცოცხალი ცხვრის ექსპორტი მცირდება, ხოლო ცხვრის ხორცის ექსპორტი იზრდება, რაც მიუთითებს ცხვრის ბაზრის განვითარებასა და ცხვრის ღირებულებათა ჯაჭვში უფრო მაღალი დამატებითი ღირებულების შექმნის პოტენციალზე.





წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2018; შენიშვნა: 2018 წლის მონაცემები ფარავს იანვარი-სექტემბრის პერიოდს; შენიშვნა: 2018 წელს იმპორტირებული ცხვრის ხორცის 74% იყო შემოტანილი ირანიდან, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს ექსპორტირებული ხორცის ნაწილის ირანის მიერ საქართველოსთვის უკან დაბრუნებით სურსათის უვნებლობის სტანდარტების დარღვევის გამო.

რაც შეეხება ფასებს, ხორცის საექსპორტო ფასი გაცილებით აღემატება ცოცხალი წონის საექსპორტო ფასს, რაც ქართველ ექსპორტიორებს უბიძგებთ ცოცხალი ცხვრის ექსპორტის ხორცით ჩანაცვლებისკენ. მიუხედავად იმისა რომ, პირველადი პროდუქტის ექსპორტის ჩანაცვლება გადამუშავებული პროდუქტით, ზოგადად კარგია სექტორისთვის, აღსანიშნავია, რომ 2018 წელს ცოცხალი ცხვრისა და ცხვრის ხორცის იმპორტი გაზრდა, რაც შესაძლოა უარყოფითად აისახოს ადგილობრივ მწარმოებლებზე. განსაკუთრებით საშიშია ხორცის რეექსპორტი, რომელიც საჭიროებს მკაცრ კონტროლს, რათა უცხოური ხორცი არ გავიდეს საქართველოდან როგორც ქართული. სუსტი კონტროლის შემთხვევაში, სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული რისკების გამო, შესაძლოა, ქართველი მეცხვარეები დაზარალდნენ, ხოლო საქართველოს ურთიერთობა სავაჭრო პარტნიორებთან გაუარესდეს.



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2018; შენიშვნა: 2018 წლის მონაცემები ფარავს იანვარი-სექტემბრის პერიოდს;

ფასები

ადგილობრივი ფასები

წინა თვესთან შედარებით, საქართველოში ფასების დონე სტაბილურად შენარჩუნდა; 2018 წლის სექტემბერში სამომხმარებლო ფასების ინდექსი (სფი) უმნიშვნელოდ 0.3%-ით გაიზარდა 2018 წლის აგვისტოსთან შედარებით.წინა თვესთან შედარებით, სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფში ფასები თითქმის არ შეცვლილა (-0.1%).

2018 წლის სექტემბერში სფი 2.7%-ით გაიზარდა 2017 წლის აგვისტოსთან შედარებით. სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფზე ფასები გაიზარდა 1.8%-ით წინა წლის სექტემბერთან შედარებით, რაც წლიურ ინფლაციის მაჩვენებელში 0.55 პროცენტული პუნქტით აისახა.





ყველაზე დიდი პროცენტული ცვლილება წინა წლის სექტემბერთან შედარებით განიცადა სურსათის შემდეგმა ჯგუფებმა:

ბოსტნეული და ბაღჩეული (24.7% ↗)

ხილი და ყურძენი (-9.9% ↙)

თევზეული (5.1% ↗)

შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (-3.5% ↙)

ზეთი და ცხიმი (3.8% ↗)

რძე, ყველი და კვერცხი (-1.4% ↙)

წყარო: საქსტატი, 2018

უფრო ვრცლად ხილისა და ყურძნის ფასებზე

2018 წლის სექტემბერში ხილისა და ყურძნის კატეგორიაში შემავალი პროდუქტების ფასები 9.9%-ით შემცირდა წინა წელთან შედარებით. როგორც დიაგრამაზე ჩანს, ფასები წლიურად შემცირდა შემდეგ პროდუქტებზე: ქლიავი (-35%), კივი (-32%), ვაშლი (-24%), მსხალი (-17%), ლიმონი (-16%) და ყურძენი (-14%). წინა წელთან შედარებით ხილსა და ყურძენზე დაბალი ფასები შესაძლოა 2018 წლის შედარებით უკეთესი მოსავლიანობითა და გაზრდილი წარმოებით იყოს განპირობებული. 2017 წელი საქართველოს სოფლის მეურნეობისთვის მოსავლის მხრივ ცუდი წელი იყო; გაზაფხულის ყინვებს ზაფხულის გვალვა მოჰყვა, რამაც ხეხილს არახელსაყრელი პირობები შეუქმნა. ამას დაემატა აზიური ფაროსანას გავრცელება, რომელმაც დააზიანა სოფლის მეურნეობის კულტურები. შედეგად, 2017 წელს წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა შემდეგი ხილის წარმოება: ვაშლი (-70%), ქლიავი (-55%), ლიმონი (-53%), და მსხალი (-48%).

2018 წელი კი დამაიმედებლად გამოიყურება ქართველი ფერმერებისთვის და განსაკუთრებით ყურძნის მწარმოებელთათვის. დღევანდელი მდგომარეობით, 2018 წელს 230 000 ტონაზე მეტი ყურძენი გადამუშავდა, რაც 72%-ით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (134 000 ტონა).

გაიზარდა ყურძნის მწარმოებელთა შემოსავალიც, რომელმაც 300 მილიონ ლარს გადააჭარბა. ეს მაჩვენებელი 85%-ით მეტია, ვიდრე წინა წელს (162 მილიონი ლარი). 2018 წელი უხვმოსავლიანობით გამოირჩევა ვაშლის მწარმოებლებისთვისაც.



წყარო: საქსტატი, 2018

საერთაშორისო ფასები

2018 წლის სექტემბერში სურსათის ფასების ინდექსი, რომელსაც გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) ითვლის, 2017 წლის აგვისტოსთან შედარებით 7.4%-ით შემცირდა. ფასები შემცირდა სურსათის შემდეგი კატეგორიებისთვის: მცენარეული ზეთი(-21.5%), შაქარი(-21%), რძის პროდუქტები(-14.6%) და ხორცი(-4.5%).

აღსანიშნავია, რომ 2018 წლის სექტემბერში, FAO-ს მარცვლეულის ფასების ინდექსი 8%-ით გაიზარდა 2017 წლის სექტემბერთან შედარებით, მაგრამ შემცირდა 2.8-ით აგვისტოსთან შედარებით. თვიდან-თვემდე შემცირება ძირითადად განპირობებულია მსოფლიოში სიმინდის მოსალოდნელი მიწოდების გაზრდით, რადგან ამერიკის შეერთებულ შტატებში სიმინდის უხვი მოსავალი იყო. ასევე, შემცირდა ხორბლისა და ბრინჯის საერთაშორისო ფასები.



წყარო: FAO, 2018

ვაჭრობის სტატისტიკა

2018 წლის სექტემბერში საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტმა (მათ შორის საკვები პროდუქტები) შეადგინა 59 მლნ. აშშ დოლარი, რაც საქართველოს ექსპორტის მთლიანი ღირებულების თითქმის მეოთხედს შეადგენს და 4 პროცენტული პუნქტით ნაკლებია 2017 წლის სექტემბრის ანალოგიურ მაჩვენებელზე. რაც შეეხება საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქტების იმპორტს, მისმა ღირებულებამ 2018 წლის აგვისტოში 88 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია, რაც საქართველოს მთლიანი იმპორტის 16%-ს შეადგენდა აღნიშნულ თვეში. გასული წლის სექტემბერთან შედარებით, მიმდინარე წელს, სოფლის მეურნეობის პროდუქტების იმპორტი 7%-ით შემცირდა.





ექსპორტის დივერსიფიკაცია

0-1 შუალედში მოთავსებული ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის (HHI) მიხედვით შეიძლება გაიზომოს ქვეყნის ექსპორტ/იმპორტის დივერსიფიკაცია — რაც უფრო დაბალია ინდექსი, მით უფრო დივერსიფიცირებულია საერთაშორისო ვაჭრობა. ამ ინდექსის მიხედვით, სექტემბერში ექსპორტის დივერსიფიკაცია საექსპორტო ბაზრების მიხედვით ამა წლის ივნისის მაჩვენებელს (HHI=0.11) გაუტოლდა, ხოლო პროდუქტების მიხედვით დივერსიფიკაციის დონემ გარკვეულწილად იკლო.





წყარო: ფინანსთა სამინისტროს მონაცემები, 2018
შენიშვნა: სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტი მოიცავს საკვები პროდუქტების ექსპორტსაც

იმპორტის დივერსიფიკაცია

რაც შეეხება იმპორტის დივერსიფიკაციას, საქართველომ ამ მხრივაც გაიუმჯობესა მდგომარეობა 2018 წლის სექტემბერში. იმპორტის დივერსიფიკაციის ინდექსმა (HHI=0.09) იმპორტიორი ქვეყნების მიხედვით 2017 წლის იანვრის შემდეგ უმცირეს მნიშვნელობას მიაღწია, რაც, ძირითადად, უკრაინული იმპორტის სხვა ქვეყნებიდან ჩანაცვლებითაა გამოწვეული. რაც შეეხება პროდუქტების მიხედვით იმპორტის დივერსიფიკაციას, ამ მხრივ იმპორტი კონცენტრირებული რჩება და ინარჩუნებს ივლისში დაფიქსირებულ დონეს.





წყარო: ფინანსთა სამინისტროს მონაცემები, 2018
შენიშვნა: სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების იმპორტი მოიცავს საკვები პროდუქტების იმპორტსაც

პოლიტიკის მიმოხილვა

ბიომეურნეობებისთვის შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმი დაწესდება

ავსტრიის განვითარების სააგენტოსგან საქართველომ 4 მილიონ ევრომდე დაფინანსება მოიპოვა იმისთვის, რომ დაიგეგმოს კონკრეტული ღონისძიებები და პროგრამები ბიომეურნეობის გასავითარებლად. ბიოწარმოების ხელშეწყობა „მწვანე ეკონომიკის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელსაც კომპლექსური მიდგომა სჭირდება.

მეტი ინფორმაციისთვის: https://commersant.ge/ge/post/biomeurneobebistvis-shegavatiani-sagadasaxado-rejimi-dawesdeba

2019 წლიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამა აღდგება

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილის მზია გიორგობიანის განცხადებით, 2019 წლიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამა აღდგება და ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოსახლეობის უშუალო ჩართულობით რეგიონებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევა.

მეტი ინფორმაციისთვის: https://bpn.ge/ekonomika/49556-regionuli-ganvitharebis-ministris-moadgile-2019-tslidan-soflis-mkhardatceris-programa-aghdgeba.html?lang=ka-GE

აისეტის კვლევითი ინტიტუტი (ISET Policy Institute)
აგრარული პოლიტიკის კვლევითი ცენტრი (APRC)
http://iset-pi.ge/index.php/en/research/aprc

ავტორები: სალომე გელაშვილი s.gelashvili@iset.ge
დავითი ჟორჟოლიანი n.kakulia@iset.ge
სალომე დეისაძე s.deisadze@iset.ge